

*კანონპროექტებისათვის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“*, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07-3/212; 26.07.2018)

*კანონპროექტის მიზანია მოსახლეობის დაცვა იმუნიზაციის გლობალური მოცვის საშუალებით, მათ შორის წითელას გავრცელების საშიშროებისაგან და გავრცელების შეკავების ღონისძიებების განხორციელება.*

## **საინფორმაციო ფურცელი**

### **ბავშვთა ვაქცინაცია ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში**

ბავშვთა ვაქცინაციასთან დაკავშირებით განხილულ ქვეყნებს არაერთგვაროვანი მიდგომა აქვთ. ქვეყნების ერთ ნაწილში (საფრანგეთი, იტალია, ჩეხეთი, უნგრეთი, ხორვატია, პოლონეთი, რუმინეთი, აშშ), დასაშვები გამონაკლისების გარდა (სამედიცინო ჩვენება, ასევე აშშ-ის შტატებში რელიგიური მრწამსიდან და ფილოსოფიური შეხედულებიდან გამომდინარე გამონაკლისები<sup>1</sup>), კანონმდებლობით განსაზღვრული **ბავშვთა პროფილაქტიკური აცრები სავალდებულოა**. ასეთი ქვეყნების უმრავლესობაში **აუცრელი ბავშვი არ დაიშვება ბაღში** (ჩეხეთი, ხორვატია, იტალია) და **სკოლაში** (აშშ-ის შტატების უმრავლესობა, საფრანგეთი). ამასთანავე, დაწესებულია **ჯარიმები** მშობლის/მეურვის მიერ ბავშვის აუცრელობის შემთხვევაში (საფრანგეთი, პოლონეთი, იტალია, ხორვატია, ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი). სანქციებთან დაკავშირებით განსაკუთრებით მკაცრია საფრანგეთის კანონმდებლობა. **ჯანდაცვის კოდექსის** ბოლო ცვლილებები ვაქცინაციაზე უარის თქმის ან ხელის შეშლის შემთხვევაში **3,500 ევროს ოდენობით ჯარიმას და ექვსთვიან პატიმრობას** ითვალისწინებს (მუხ. L3116-4). სხვა ქვეყნებში კი (ავსტრია, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი<sup>2</sup>, ესპანეთი, ნიდერლანდები, ნორვეგია, ფინეთი) **აცრები რეკომენდებულია და არ არის სავალდებულო**.

აღსანიშნავია, რომ ვაქცინაციის სავალდებულო თუ რეკომენდებული ხასიათი დისკუსიის საგანია იძულებითი ვაქცინაციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. მომხრეებს მიაჩნიათ, რომ იძულებითი აცრა აუცილებელია ვაქცინაციის უსაფრთხო დონის შესანარჩუნებლად და ეპიდემიების თავიდან ასაცილებლად, ვაქცინაციის მიმართ სკეპტიკურად განწყობილ ჯგუფებს კი არ სჯერათ ვაქცინის უსაფრთხოების/ეფექტურობის ან/და იძულებით ვაქცინაციას ადამიანის უფლებების დარღვევად მიიჩნევენ. ამასთანავე, არსებობს მოსაზრება, რომ *სავალდებულო*

<sup>1</sup> დეტალური ინფორმაციისთვის ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ, იხილეთ **დანართი 1**

<sup>2</sup> დიდ ბრიტანეთში პირველი სავალდებულო (ყვავილის საწინააღმდეგო) ვაქცინაცია და ჯარიმა დაწესდა 1853 წლის კანონით ვაქცინაციის შესახებ (1853 Vaccination Act). *1898 წლის კანონით* გაუქმდა ჯარიმები და მშობლებს მიეცათ უფლება არ აეცრათ ბავშვი, თუ მიაჩნდათ, რომ ვაქცინა არ იყო ეფექტური/უვნებელი. სავალდებულო ვაქცინაცია გაუქმდა *ეროვნული ჯანდაცვის შესახებ 1946 წლის კანონით* (National Health Service Act 1946). მომდევნო წლებში განახლებული კანონების შესაბამისად ნებაყოფლობითი ვაქცინაციის შესახებ პოლიტიკა აღარ შეცვლილა.

ვაქცინაცია ხელს არ უწყობს ვაქცინაციის დონის ზრდას<sup>3</sup>. აღსანიშნავია, რომ 2017-2018 წლებში ევროპის ქვეყნებში (იტალია, საფრანგეთი) განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები სავალდებულო ვაქცინაციის მიმართულებით.

დეტალური ინფორმაცია ევროპის განხილული ქვეყნების შესაბამისად იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

**ცხრილი: სავალდებულო აცრები, გამონაკლისები და სანქციები ევროპის ქვეყნებში**

ქვეყანა <sup>4</sup>	სავალდებულო ვაქცინაცია	გამონაკლისი	სანქციები
ავსტრია	არა	-	-
გერმანია	არა	-	-
დანია	არა	-	-
დიდი ბრიტანეთი	არა	-	-
ესპანეთი	არა	-	-
იტალია	10 აცრა (2017 წლიდან): დიფტერია, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, ყივანახველა, წითელა, წითურა, ყბაყურა, ჩუტყვავილა, B ჰეპატიტი, B ჰემოფილური ინფექცია	სამედიცინო უკუჩვენება, გართულება წინა აცრის დროს	ჯარიმა (500 ევრო); აუცრელი ბავშვი არ დაიშვება ბაღში
ნიდერლანდები	არა	-	-
ნორვეგია	არა	-	-
პოლონეთი	11 აცრა: დიფტერია, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, ყივანახველა, წითელა, წითურა,		ჯარიმა

<sup>3</sup> ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევა „სავალდებულო ვაქცინაცია და იმუნიზაციის დონე ევროპაში“ (Compulsory Vaccination and Rates of Coverage Immunization in Europe), რომელშიც ნათქვამია: „სავალდებულო ვაქცინაცია, როგორც ჩანს, არ განსაზღვრავს ბავშვთა იმუნიზაციის დონეს შესწავლილ ქვეყნებში“. ანგარიში იხილეთ ბმულზე <http://www.asset-scienceinsociety.eu/reports/page1.html>

<sup>4</sup> ინფორმაცია დანერგილი ვაქცინაციის სახეებისა და სტატუსის (სავალდებულო/რეკომენდებული) შესახებ ევროპის ქვეყნების შესაბამისად შეგიძლიათ მიიღოთ ევროპის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის (European Centre for Disease Prevention and Control) ვებსაიტზე, შემდეგ ბმულზე: <https://vaccine-schedule.ecdc.europa.eu/>

	<p>ყბაყურა, B ჰეპატიტი, B ჰემოფილური ინფექცია, ტუბერკულოზი და პნევმოკოკური ინფექცია</p>		
<p><b>საფრანგეთი</b></p>	<p><b>11 აგრა</b> (2018 წელს დაბადებული ბავშვებისთვის<sup>5</sup>): დიფტერია, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, ყივანახველა, წითელა, წითურა, ყბაყურა, B ჰეპატიტი, B ჰემოფილური ინფექცია, პნევმოკოკური ინფექცია, მენინგოკოკური ინფექცია</p>	<p>სამედიცინო უკუჩვენება</p>	<p>პატიმრობა 6 თვემდე; ჯარიმა (3,750 ევრო)</p> <p>აუცრელი ბავშვი არ დაიშვება საბავშვო ბაღსა და სკოლაში</p>
<p><b>სლოვაკეთი</b></p>	<p><b>10 აგრა:</b> დიფტერია, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, ყივანახველა, წითელა, წითურა, ყბაყურა, B ჰეპატიტი, B ჰემოფილური ინფექცია და პნევმოკოკური ინფექცია</p>	<p>სამედიცინო უკუჩვენება</p>	<p>ჯარიმა (331 ევრო)</p>
<p><b>უნგრეთი</b></p>	<p><b>11 აგრა:</b> დიფტერია, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, ყივანახველა, წითელა, წითურა, ყბაყურა, B ჰეპატიტი, B ჰემოფილური ინფექცია, პნევმოკოკური</p>	<p>სამედიცინო უკუჩვენება</p>	<p>ჯარიმა (5000-500,000 უნგრული ფორინტი 15.7 - 1570 ევრო)</p>

<sup>5</sup> 2018 წლამდე სავალდებულო იყო 3 აგრა: დიფტერია, ტეტანუსი და პოლიომიელიტი

	ინფექცია და ტუბერკულოზი		
<b>ფინეთი</b>	<b>არა</b>	-	-
<b>ჩეხეთი</b>	<b>9 აცრა:</b> დიფტერია, ბ ტიპის ჰემოფილური ინფექცია, B ჰეპატიტი, წითელა, წითურა, ყბაყურა, ყივანახველა, პოლიომიელიტი, ტეტანუსი.	სამედიცინო უკუჩვენება;  საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მშობლის რწმენა შეიძლება იყოს ვაქცინაციაზე უარის თქმის საფუძველი	ბავშვები არ დაიშვებიან ბაღში; საბავშვო ბაღის დაჯარიმება 18,500 ევროს (500.000 ჩეხური კრონა) ოდენობით; მშობლების დაჯარიმება 10,000 ჩეხური კრონა (≈387 ევრო)
<b>ხორვატია</b>	<b>10 აცრა:</b> დიფტერია, ბ ტიპის ჰემოფილური ინფექცია, B ჰეპატიტი, წითელა, წითურა, ყბაყურა, ყივანახველა, პოლიომიელიტი, ტეტანუსი, ტუბერკულოზი	სამედიცინო უკუჩვენება: ინფექცია, რომელსაც თან ახლავს სიცხე (დროებითი გამონაკლისი); დაქვეითებული იმუნიტეტი (შიდსი, კიბო და სხვ.); ვაქცინის კომპონენტების მიმართ მომატებული მგრძობელობა (ალერგია); წინა ვაქცინაციის დადასტურებული გართულება.	ჯარიმა ვაქცინაციაზე უარის თქმის თითოეულ შემთხვევაში 2,000 კუნას (≈270 ევრო) ოდენობით; აუცრელი ბავშვი არ დაიშვება საბავშვო ბაღში

მომზადა ნატო ზედელაშვილმა

19.09.2018

**გამოყენებული წყაროები:**

Vaccine Scheduler <https://vaccine-schedule.ecdc.europa.eu/Scheduler/ByCountry?SelectedCountryId=18&IncludeChildAgeGroup=true&IncludeAdultAgeGroup=true&SelectedVersionId=68> ð

Vaccine policy and pro-choice organisations in European countries. <https://www.efvv.eu/vaccination-by-country/>

Laws on Vaccination within the UK <http://ministryofethics.co.uk/index.php?p=9&q=2>

MANDATORY VACCINATION: DOES IT WORK IN EUROPE?

<https://www.vaccinestoday.eu/stories/mandatory-vaccination-work-europe/>

COMPULSORY VACCINATION AND RATES OF COVERAGE IMMUNISATION IN EUROPE

<http://www.asset-scienceinsociety.eu/reports/page1.html>

The State of Vaccine Confidence 2016: Global Insights Through a 67-Country Survey

[https://www.ebiomedicine.com/article/S2352-3964\(16\)30398-X/fulltext](https://www.ebiomedicine.com/article/S2352-3964(16)30398-X/fulltext)

Code de la santé publique (ჯანდაცვის კოდექსი)

<https://www.legifrance.gouv.fr/affichCodeArticle.do?cidTexte=LEGITEXT000006072665&idArticle=LEGARTI000006687829>

Legge 31 luglio 2017 , n. 119. Conversione in legge, con modificazioni, del decreto-legge 7 giugno 2017, n. 73, recante disposizioni urgenti in materia di prevenzione vaccinale. (17G00132) (2017 წლის 31 ივლისის კანონი ვაქცინაციასთან დაკავშირებით)

<http://www.trovanorme.salute.gov.it/norme/dettaglioAtto?id=60201>

## United States

SCHOOL VACCINE REQUIREMENTS AND EXEMPTIONS <http://www.ncsl.org/research/health/school-immunization-exemption-state-laws.aspx>

Immunization and Vaccination Laws in the US

<https://www.lawyers.com/legal-info/research/education-law/immunization-and-vaccination-laws-in-the-us.html>

State School Immunization Requirements and Vaccine Exemption Laws

<https://www.cdc.gov/php/docs/school-vaccinations.pdf>

The Latest in Vaccine Policies: Selected Issues in School Vaccinations, Healthcare Worker Vaccinations, and Pharmacist Vaccination Authority Laws

<http://aslme.org/media/downloadable/files/links/0/4/04.Barraza.SUPP.pdf>

State Vaccination Exemptions for Children Entering Public Schools

<https://vaccines.procon.org/view.resource.php?resourceID=003597>

საპარლამენტო კვლევისა და დოკუმენტაციის ევროპული ცენტრის (ECPRD) მასალები

## დანართი 1. ბავშვთა ვაქცინაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში

აშშ-ის ყველა შტატის კანონმდებლობა ბავშვების შემთხვევაში ითვალისწინებს განსაზღვრული აცრების ვალდებულებას, რაც ბავშვის სკოლასა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დაშვების პირობაა. ეს მოთხოვნები, როგორც წესი, ერთნაირად ეხება როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლებს. სავალდებულო აცრების ჩამონათვალი განსხვავდება შტატების მიხედვით, მაგრამ ყველაზე ხშირად მოიცავს ვაქცინაციას შემდეგი დაავადებების თავიდან აცილების მიზნით:

- დიფტერია
- B ჰემოფილური ინფექცია
- B ჰეპატიტი
- ყივანახველა
- პოლიომიელიტი
- წითელა
- წითურა
- ყბაყურა
- ტეტანუსი

ზოგიერთ შტატში სავალდებულოა ჩუტყვავილას საწინააღმდეგო აცრაც.

შტატების კანონმდებლობა ასევე განსაზღვრავს სავალდებულო ვაქცინაციისგან გათავისუფლების პირობებს. გამონაკლისები განსხვავდება შტატების მიხედვით, თუმცა, ყოველთვის დასაშვებია გამონაკლისი სამედიცინო უკუჩვენების შემთხვევაში. თითქმის ყველა შტატში დასაშვებია გამონაკლისი რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე და ზოგიერთ შტატში ასევე დასაშვებია გამონაკლისი ფილოსოფიური შეხედულებიდან გამომდინარე, რაც ნიშნავს გამონაკლისის დაშვებას, თუ პირი მორალური ან სხვა პირადი მოსაზრების გამო ეწინააღმდეგება იმუნიზაციას.

ბავშვის იმუნიზაციის ვალდებულებისგან გათავისუფლების პროცესში რამდენიმე შტატი მოითხოვს ვაქცინაციის სარგებლისა და რისკების შესახებ საგანმანათლებლო კომპონენტის ჩართვას. განათლებაზე პასუხისმგებელი უწყებაა ჯანდაცვის დეპარტამენტი (Department of Health). მაგ. არიზონას შტატში ფილოსოფიური შეხედულებიდან გამომდინარე გამონაკლისის მისაღებად განაცხადის შევსებისას სავალდებულოა ხელმოწერილი განცხადება სკოლის ადმინისტრატორის სახელზე, რომელშიც ნათქვამია, რომ ბავშვის მშობელმა ან მეურვემ მიიღო ინფორმაცია იმუნიზაციის შესახებ ჯანდაცვის დეპარტამენტიდან და ესმის იმუნიზაციის მნიშვნელობა.

ზოგიერთ შტატში განსაკუთრებული წესები მოქმედებს ეპიდემიის შემთხვევაში. ასეთ დროს აუცრელი ბავშვები, რომელთა შემთხვევაში დაშვებული იყო გამონაკლისი არ დაიშვებიან სკოლაში (დელავერი, აიოვა, ნიუ ჯერსი, ჯორჯია და სხვ.), ან გამონაკლისი აღარ მოქმედებს და სავალდებულოა ყველა ბავშვის აცრა (ჰავაი, კენტუკი და სხვ.).

დეტალური ინფორმაცია დასაშვები გამონაკლისების შესახებ ბავშვის ვაქცინაციის ვალდებულებასთან დაკავშირებით შტატების შესაბამისად იხილეთ ცხრილში:

შტატი	რელიგიური გამონაკლისი <sup>6</sup>	ფილოსოფიური გამონაკლისი <sup>7</sup>
ალაბამა	დიახ	არა
ალასკა	დიახ	არა
არიზონა	დიახ	დიახ
არკანზასი	დიახ	დიახ
კალიფორნია	არა	არა
კოლორადო	დიახ	დიახ
კონექტიკუტი	დიახ	არა
დელავერი	დიახ	არა
ვაშინგტონის ფედერალური ოლქი	დიახ	არა
ფლორიდა	დიახ	არა
ჯორჯია	დიახ	არა
ჰავაი	დიახ	არა
აიდაჰო	დიახ	დიახ
ილინოისი	დიახ	არა
ინდიანა	დიახ	არა
აიოვა	დიახ	არა

<sup>6</sup> რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე გამონაკლისი/გათავისუფლება (Religious exemption) ნიშნავს, რომ კანონის დებულება მშობლებს შესაძლებლობას აძლევს გაათავისუფლონ ბავშვი ვაქცინაციის ვალდებულებისგან, თუ ვაქცინაცია ეწინააღმდეგება მათ რელიგიურ მრწამსს.

<sup>7</sup> ფილოსოფიური შეხედულებიდან გამომდინარე გამონაკლისი/გათავისუფლება (Philosophical exemption) გულისხმობს ბავშვის აცრისგან გათავისუფლების შესაძლებლობას პირადი (არა მხოლოდ რელიგიური) შეხედულების გამო. მაგალითად, მენის შტატის კანონმდებლობით, გამონაკლისი დასაშვებია „მორალური, ფილოსოფიური და სხვა პირადი მიზეზებით“, ხოლო მინესოტაში - „მშობლის ან მეურვის გაცნობიერებულ რწმენაზე/შეხედულებაზე დაყრდნობით.“

შტატი	რელიგიური გამონაკლისი <sup>6</sup>	ფილოსოფიური გამონაკლისი <sup>7</sup>
კანზასი	დიახ	არა
კენტუკი	დიახ	არა
ლუიზიანა*	დიახ	დიახ
მენი	დიახ	დიახ
მერილენდი	დიახ	არა
მასაჩუსეტსი	დიახ	არა
მიჩიგანი	დიახ	დიახ
მინესოტა*	დიახ	დიახ
მისისიპი	არა	არა
მისური	დიახ	დიახ***
მონტანა	დიახ	არა
ნებრასკა	დიახ	არა
ნევადა	დიახ	არა
ნიუ ჰემპშირი	დიახ	არა
ნიუ ჯერსი	დიახ	არა
ნიუ მექსიკო	დიახ	არა
ნიუ-იორკი	დიახ	არა
ჩრდილოეთი კაროლინა	დიახ	არა
ჩრდილოეთი დაკოტა	დიახ	დიახ
ოჰაიო	დიახ	დიახ
ოკლაჰომა	დიახ	დიახ
ორეგონი	დიახ	დიახ
პენსილვანია	დიახ	დიახ
როდ აილენდი	დიახ	არა
სამხრეთი კაროლინა	დიახ	არა



შტატი	რელიგიური გამონაკლისი <sup>6</sup>	ფილოსოფიური გამონაკლისი <sup>7</sup>
სამხრეთი დაკოტა	დიახ	არა
ტენესი	დიახ	არა
ტეხასი	დიახ	დიახ
იუტა	დიახ	დიახ
ვერმონტი	დიახ	დიახ
ვირჯინია**	დიახ	არა
ვაშინგტონი	დიახ	დიახ
დასავლეთი ვირჯინია	არა	არა
ვისკონსინი	დიახ	დიახ
ვაიომინგი	დიახ	არა

\* მინესოტასა და ლუიზიანას შტატებში კანონმდებლობა მკაფიოდ არ აღიარებს რელიგიას, როგორც ვაქცინაციისგან გათავისუფლების მიზეზს, თუმცა, რეალურად, არასამედიცინო გამონაკლისები შესაძლოა მოიცავდეს რელიგიურ რწმენას.

\*\*ვირჯინიის შტატში გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ პაპილომავირუსის საწინააღმდეგო აცრის შემთხვევაში.

\*\*\*მისურის შტატში პირადი (ფილოსოფიური) მოსაზრების საფუძველზე გათავისუფლება არ ეხება საჯარო სკოლებს და ეხება მხოლოდ სკოლამდელ დაწესებულებებს.

წყარო: National Conference of State Legislatures. ცხრილი ადაპტირებულია - Immunization Action Coalition, "Exemptions Permitted for State Immunization Requirements," 2017; LexisNexis; StateNet 2017წ.